ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია" L.E.P.L. "GEORGIAN BAR ASSOCIATION"

№ 7242 "24" 01 2017

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,

ბ-ნ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის

პირველ მოადგილეს ქ-ნ თამარ ჩუგოშვილს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ

საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ქ-ნ ეკატერინე ბესელიას

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

საკანონმდებლო წინადადება

მოგეხსენებათ, რომ სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს "ადვოკატთა შესახებ" კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც, დღეის მდგომარეობით, აერთიანებს4500-ზე მეტ მოქმედ ადვოკატს საქართველოში (www.GBA.ge).

,,ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-2 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ჩამონათვალს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს "...კლიენტის წარმომადგენლობას

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1223
24.01.2017 წ. ფურცლ. 3

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №36. ტელ/ფაქსი: (995 32) 222 46 54 36 Dzmebi Zubalashvilebi str. Tbilisi, Georgia; Tel/Fax: (995 32) 222 46 54
WWW.GBA.GE

საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში ....”

,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით კი - “საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს - ადვოკატი”.

სისხლის სამართალწარმოებაში მხარის (ბრალდებულის/დაზარალებულის) ინტერესების დამცველი სამივე ინსტანციის სასმართლოში, ისევე როგორც, საგამოძიებო ორგანოებში შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი. იგივე წესია დადგენილი სამოქალაქო სამართალწარმოებისას სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში. გამონაკლისს წარმოადგენს, მხოლოდ, სამოქალაქო სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სადაც მოქმედი კანონმდებლობით, მხარის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, ანუ მათ შორის არაიურისტიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული დანაწესი არ შეესაბამება, როგორც ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონს, ისე ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს და საფრთხის ქვეშ აყენებს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების (სანდო და კვალიფიციური იურიდიული მრჩევლის უფლება) სათანადოდ რეალიზაციას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოადგენს საქმის არსებითად, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვის ძირითად ინსტანციას და ამდენად, სათანადო კვალიფიკაციის, გამოცდილების და უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალის მეშვეობით მხარის წარმოდგენას პირველი ინსტანციის სასამართლოში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმის ბედის სწორად გადაწყვეტისათვის. ხშირ შემთხვევაში, ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებში ძალზედ ძნელდება და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც ხდება, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაშვებული სამართლებრივი შეცდომების გამოსწორება.

ამასთან, აღსანიშნავია მხარის წარმომადგენელთა არათანაბარი მდგომარეობა პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვისას, როცა ერთ მხარეს ადვოკატი წარმოადგენს, ხოლო მეორე მხარეს არაადვოკატი, ანდა საერთოდ არაიურისტი წარმომადგენლი, რომელიც არაა შეზღუდული ადვოკატთა ეთიკის კოდექსით და ხშირ შემთხვევაში წარმოდგენაც არ აქვს სასამართლო დარბაზებში ქცევის წესებზე, პროფესიული საიდუმლოებისა და კოლეგიალობის სავალდებულო პრინციპებზე.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების პროექტს:

(1) 94-ე მუხლის, პირველი ნაწილის “დ” პუნქტი ამოღებულ იქნას;

(2) მუხლი 440-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 440 წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა სამოქალაქო პროცესში

პირებს, რომლებიც არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება როგორც პირველი, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

ამასთან, ვაცხადებთ მზაობას მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნული ცვლილების განხილვაში და არგუმენტირებული პასუხი გავცეთ დისკუსიის პროცესში წამოჭრილ ყველა შესაძლო შეკითხვას.

პატივისცემით,

ზაზა ხატიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

დავით ასათიანი

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი

ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი

24 იანვარი, **2017** წ.